№ 85 აპრილი 24, სამშაბათი 1890 აპრილი 24, სამშაბათი № 85


**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



კვირას, 29 აპრილს, ოფიციალურად გაიმართება

## ქუთაისში

კერძო სამკურნალო ს. ზ. თოფურიასი მოსულთა ავადმყოფთათვის და მუდმივ საწოლებით. ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდამ სამ საათამდის: შინაგანი ავადმყოფობისათვის მიიღებს ს. ზ. თოფურია. ხირურგიულისა და ვენერიულისათვის—ლ. ა. გავსეევი. საზებიო და ქალის ავადმყოფობისათვის—ექიმი-ქალი მ. ფ. კალანი. ელექტრონით ექიმობას იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით) ნაშუადღევის ხუთ საათიდამ შვიდ საათამდის ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მეცნიერების დოქტორი კეიხელი.

სამკურნალოსთან იქმნება გამართული კაბინეტი ავადმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეტი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ეღირება სამი მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟი), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი გარიგებით იქმნება.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იმყოფება ბოკერიას სახლში, ქუთაისის ბულვრის პირდაპირ.

სამკურნალოს დირექტორი ს. მ. თოფურია

(6—2)


## რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანათი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც გამოგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოგზავნის დანარჩენს ფულს, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.


ვინც ნივთების შემოწირვას ისურვებს „წერა კითხვის საზოგადოების"

ლატარია-ალეგრისათვის,

ვთხოვთ კეთილ-ინებოს და გამოგზავნოს შემოწირულება კნეინა ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძეს სახელობაზე (კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ თ. გრუზინსკისეულს სახლებში).


## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ახალ-სენაკიდამ 53 მან., შეგროვილი წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ, და გადავეცით დანიშნულებისამებრ. სულ დღევანდლამდე ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ამ სკოლის სასარგებლოდ 1280 მან. 41 კაპ. და ჩაჰბარდა სკოლის მზრუნველს ბ-ნ ი. ი. წინამძღვრიშვილს.

*** 19 აპრილს, სამს საათზედ, ტფილისში გარდაიცვალა კარგა ხნის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დ. ს. ს. ალექსანდრე ილიას ძე ლილოვი, დირექტორი მეორე კლასიკურ გიმნაზიისა. თითქმის ოცი წელიწადია, რაც განსვენებული ამიერ-კავკასიაში იყო მასწავლებლად. სტავროპოლიდგან 1864 წელს გადმოიყვანეს იგი ეხლანდელს პირველს კლასიკურს გიმნაზიაში რუსულის სიტყვიერების უფროს მასწავლებლად და ამავე წელს რეალურს გიმნაზიაში დანიშნეს. მეორე კლასიკურ გიმნაზიის არსებობიდგან განსვენებული ამ სასწავლებლის ხან ინსპექტორად და ხან დირექტორად ითვლება. განსვენებული დირექტორი 57 წლისა გარდაიცვალა და თერთმეტ სულამდე ცოლ-შვილი დასტოვა. გუშინ-წინ, კვირას, გადაუხადეს ანდერძი გარდაცვალებულს ალექსანდრე-ნეველის ეკკლესიაში და ამავე ეკკლესიის ეზოში დაასაფლავეს. დასაფლავებას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, შეგირდები, იმათი მშობლები და ათასი სხვა ნაცნობი და მახლობელი. ეკკლესიაში მისმა ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობამ ეგზარხოსმა პალადიმ სწირა და ანდერძიც იმან გადაუხადა. ჯერ დილითვე განსვენებულის სახლში წაიკითხეს ლექსები განსვენებულის პატივსაცემლად მე-VIII კლასის შეგირდმა ბუტენკომ და მე-IV კლ. შეგირდ. ვ. მიზერიმა. შემდეგ სასაფლაოზე სიტყვა წარმოსთქვა მასწ. ალ. ივ. სლოვინსკიმ, თავისი ლექსი წაიკითხა მე-VI კლ. შეგირ. ბოგორაზმა, სიტყვა წარმოსთქვა ამ გიმნაზიის ნაშეგირდალმა ვოდოპიანოვმა, ლექსები წაიკითხეს მე VI კლ. შეგირდმა კაზანოვსკიმ და მე-VII კლასისამ ვართანეზოვმა. ამას შემდეგ ილაპარაკა ვიღაც ვიდინოვმა, ვრცლად აღწერა ყაზანის სასულიერო აკადემია, სადაც განსვენებულს სწავლა მიეღო და ემსახურნა, ბევრი სთქვა ამ მთისა და იმ მთისა და ბოლოს, სწორედ მთელის საათ ნახევრის შემდეგ, ძლივს გაათავა თავისი სიტყვა. განსვენებულის ძეგლის ასაგებად იქვე იქმნა მოგროვილი პოდპოლკოვნიკის პამკევიჩის მიერ 264 მან.

*** დღეს მოგვივიდა პაწია სომხური წიგნაკი, ვ. კამალიანის გამოცემა. წიგნაკი შეიცავს ნარ-დოსის ეტიუდს „ანნა საროიან". წიგნში სულ 76 გვერდია და ფასადაც ექვსი შაური ჰღირს.

*** უწმიდესს სინოდს შეუწყნარებია შუამდგომლობა სასულიერო სემინარიის რექტორისა და საბოლოოდ გადაუწყვეტია დაარსდეს ამიერ-კავკასიაში 11 სკოლა სახელმწიფო ხარჯით: 1) ტფილისისა, ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებში დაარსდეს ორ ორი სამრევლო სკოლა ერთ-კლასიანი სამის წლის კურსითა და თითო ორ-კლასიანი ხუთის წლის კურსით და ეძლიოს ყოველ წლივ იმათ შესანახავად 5,400 მან. (თითო გუბერნიას 1, 00 მან.); 2) ყარსის მაზრაში უნდა გაიმართოს ორი სკოლა ერთ კლასიანი და ყოველ წლივ ეძლიოს 600 მ.; 3) ბაქოს გუბერნიაში უნდა გაიხსნას ორი ერთ კლასიანი სკოლა და ორი ორ-კლასიანი და სარჩოდ ეძლიოს 2,400 მ. ყოველ წლივ, 4) ელისავეტოპოლის (განჯის) გუბერნიაში უნდა დაარსდეს ერთი ერთ-კლასიანი და ერთიც ორ-კლასიანი სკოლა და ყოველ წლივ ეძლიოს 1,500 მ. სულ მთავრობას გადაუდვია ზემოხსენებულ სკოლების შესანახავად ყოველ სამ წელს 29,700 მან. მომავალში იმედი აქვთ ეს საშუალება გააორკეცონ.

*** პეტერბურგი. დაიბეჭდა მესამე ნაწილი ქართულ-რუსულის ლექსიკონისა, რომელიც შედგენილია პროფ. დ. ი. ჩუბინაშვილის-მიერ. ამ მესამე ნაწილის დაბეჭდვით გათავდა ქართულ-რუსულის ლექსიკონის ბეჭდვა. პატივცემულს პროფესორს უნდა მხოლოდ პატარა დამატებაც დაბეჭდოს. დამატებაში იქნება მოთავსებული ესე ოროს სამასი სიტყვა.

*** იქიდამვე: პროფესორს ჩუბინაშვილსავე აზრად აქვს შეადგინოს ისტორია საქართველოსი, უფრო ისტორია თვით ერის ცხოვრებისა და ლიტერატურისა. ეს ისტორია, როცა დასრულდება, ჯერ რუსულად დაიბეჭდება და მერე ქართულად გადაითარგმნება.

*** ფოთი: ხუთშაბათს, 19 აპრილს, აქაურ ოთხ-კლასიან საქალაქო სასწავლებელში ერთი არა-ჩვეულებრივი ამბავი მოხდა: პირველ კლასის მოწაფე გვათუამ ხელის შეხებით შეურაცჰყო თავისი მასწავლებელი, ბ-ნი ვასილიევი. მიზეზი ამ უწესო ქცევისა ყოფილა, როგორც ამბობენ, შემდეგი: მოსწავლე გვათუა ცოტა თამამი და დაუდგრომელი ხასიათისაა. ამის გამო უწერავდნენ ყოფა ქცევისათვის, როგორც გავიგეთ, ნიშანს სამ-სამსა. ალბად ყმაწვილმა გვათუამ ეს იცოდა და მომადლიერება მოინდომა თავის მასწავლებელ ვასილიევისა. ამიტომ დილით გაეკეთებინა გვათუას მშვენიერი ვარდების კონა, მოეტანა სასწავლებელში ზემოხსენებულ მასწავლებელის მისართმევად, მაგრამ გაუწოდა რა „ბუკეტი", მასწავლებელმა არ მიიღო და უთხრა: „убирайся съ твоимъ букетомъ"-ო. ეს თურმე ძალიან ეწყინა მოსწავლე ბავშვსა და, მიბრუნდა თუ არა მასწავლებელი, ვარდის თაიგული გვათუამ ზურგში სტყორცნა. [illegible] მასწავლებელს და კლასიდგან გასვლა დააპირა ინსპექტორთან საჩივლელად. ამ დროს გადმოხტა ბავშვი გვათუა, ქოჩორში სტაცა თურმე ხელი მასწავლებელსა და, როგორც სთქვეს, ორჯელ გაარტყა მუშტი თავში... მოსწავლე გვათუას პოლიციისკენ უკრეს თავი. დღეს ხმა გავრცელდა, რომ ამ უსიამოვნების გამო ბ-ნმა ვასილიევმა სამსახურს თავი დაანებაო.

*** იქიდამვე: ორი-სამის დღის წვიმებს შემდეგ ცამ მოიწმინდა და საგანგებო-სასიამოვნო ამინდებია ახლა ფოთში.

*** სოფ. ტირძნისი (გორის მაზ-

## ფელეტონი

### წერილი მეგობართან

ძმაო ექვთიმე!

განყენებული სჯა და ლაპარაკი საკაცობრიო, საზოგადო საგნების შესახებ კარგია, რადგან სჯითა, ცდითა, ფიქრითა და თქმით ირკვევა მუდამ კანონები ცხოვრების წარმატებისა და დაქვეითებისა: ირკვევა სასარგებლო და სამავნეო გარემოებანი. რამდენს თავს იმტვრევენ მეცნიერნი და მეცნიერება: ეს ისტორია ვარ, ეს სოციოლოგია, ეს ფილოსოფია, ეს ქიმიაო, ასტრონომია-კი, თუმცა იგი მუდამ ცაში შეიყურება, და სხვა და სხვა სულ იმიტომ არის, იმ აზრით, რომ ცხოვრება გააუკეთესონ კაცობრიობისა. ყველა მეცნიერს, ყოველ გვარს მეცნიერებას, ღრმად რომ ჩაუკვირდეთ, ცხოვრების გაუკეთესება აქვს სახეში, თუ სახეში არა, შედეგად მაინც მოსდევს. ისტორია, ხომ კარგად ვიცით, რომ მარტო კრებული არ არის მეფეთა, გამოჩენილთა კაცთა, ომებისა, იმას ამაზე დიდი აზრი მიუძღვის წინ: აზრი ცხოვრებისა; ყოველი ამბავი ისტორიკოსისაგან მოქცეული ისტორიაში უეჭველად რამე გვასწავლის ცხოვრების შესახებ. ისტორია იმდენად წარსულისათვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსათვის, აწმყო ცხოვრებისათვის. იგი გვაფრთხილებს შეცდომისაგან და გვაქეზებს კეთილისაკენ; მასში ვხედავთ მიზეზს და მიზეზთან ერთად შედეგს; იქ ვხედავთ შეცდომას და შეცდომასთან ერთად გამარჯვებას. ამაზე უკეთესი მაგალითი-ღა იქნება სხვა ჩვენთვის? ისტორიაში ვხედავთ, თუ ცალკე კაცს რა ძალა ჰქონდა ცხოვრების ავკარგიანობაში, ვხედავთ აზრისა და გრძნობის ძალას და კიდევ ბევრს რასმე სხვას. სოციოლოგია განა მართლა საქმე გამოჰლევია, რომ იკვლევს, სჩხრეკს, საიდამ, სად, ვინა, გინდა თემის ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებათა, რწმენათა; იგი აზრს ეძებს და ამ აზრის საგანია ცხოვრების სარგებლობა, ცხოვრების გაუკეთესება. სოციოლოგია რად გინდა, აილე რომელიც გინდა მეცნიერება მცირე ხარისხისა, როგორც გინდა გადაატრიალ-გადმოაბრუნე, საიდამაც გინდა შეჰხედე, მაინც იმას დაინახავ და დარწმუნდები, რომ ყველა მეცნიერების აზრი და საგანი ნებისითი თუ უნებლიეთი ცხოვრების გაუკეთესებაა. დიაღ, ცხოვრებაა ყველა კაცის, ყველა მეცნიერების, ყველა ერის აზრი და საგანი. რომ ყველა კაცის სურვილი, ყველა ერის საერთო მისწრაფება შევაერთოთ, მიღებულს ჯამს უნდა დავარქვათ სარგებლიანი ცხოვრება. მეცნიერება საკმაო ცოდნას, საკმაო მასალას გვაძლევს ამისათვის. გვესმის, თუ უმრავლესობას არა, მცირე ნაწილს მაინც, რა ჰქონია ბედნიერი ცხოვრება, ვიცნობთ ცალ ცალკე სიმართლეს და სიცრუეს, მაგრამ ეს არის უბედურება, რომ ეს ჩვენი რწმენა ჯერ-ჯერობით რწმენად, ლიტონ სიტყვად რჩება და საქმედ ვერა ქცეულა. ამითაც არაფერი დაშავდება, მხოლოდ უნდა ვეცადნეთ, არ დავივიწყოთ სიმართლე და არ ვუმტყუნოთ იმას, რაც ერთხელ სიმართლედ გვიცვნია... ბევრია ისეთი ჭეშმარიტება, რომ მისი განხორციელება დღეს სხვა-და სხვა მიზეზისა გამო მოუხერხებელი გამხდარა. ევროპაში ბევრი აღარ დარჩენილა ისეთი სახელმწიფო, რომ ომების მავნებლობა არ ესმოდეს, მაგრამ ვერ მოუხერხებია დაითხოვოს ჯარები შინა, არამედ იძულებული გამხდარა მოუმატოს ამ ჯარებს და გააუმჯობესოს საომარი იარაღი. რადა? იმიტომ, რომ მეორე მეზობლისა ეშინიან, იცის, რომ მეზობელს სამეფოს არა სწადიან მორიგებით, მოლაპარაკებით გაათავოს, დააბოლოოს შუღლი და მუშტზე იცქირება. რა ქნას, პირველიც ძალა უნებურად უფარდებს თავის თავს მეორის ვინაობას და, რაც ძალი და ღონე აქვს, ამზადებს საომარს მასალას. იცის, რომ მოწინააღმდეგე სიტყვის ძალით არ გაუმთელებს მას იარას. შორს რად მივდივართ, პატარა საზოგადოებაშიაც რომ ესევეა, ერთი მეორეს უშლის. ვსთქვათ საუკეთესო წევრს საზოგადოებისას სურს წინ წასვლა, წინ წაწევა საზოგადოებისა, იძლევა ამისათვის დარიგებას, საშუალებას, მაგრამ მეორე ბრიყვი, შეუგნებელი ეჯაჯგურება კალთაზე და არ უშვებს. უნიჭო, უმეცარი, ბრიყვი კაცია იგი, თუ საზოგადოება იმითია შესანიშნავი, რომ აწმყო, დამოკიდებული დღე აკმაყოფილებს, უყვარს სიბნელე, ერთი მეორესთან ერთ გვარ კაცთა დამოკიდებულება და მოწადინებულია სახვალიოდაც ისევე დარჩეს. სიბრიყვეს აშინებს ნათელი, აშინებს სიმართლე, აშინებს განძრევა, გარჯა, გაუკეთესება... ანკი რად უნდა ვესწყვეოდეთ სიბრიყვეს? სიბრიყვე იმის სიბრიყვეა, რომ არ ესმის ეხლანდელზე უკეთესი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა): სოფელ ტირძნისში, გორის მაზრის ი. დ. სულხანიშვილის სასახლეში აღმოჩნდა ძველი ხელით ნახატი სურათები: ანტონ კათალიკოზისა, გუდამაყრელისა, ხევსურისა, თუშისა, იმერელისა, ლეკისა, ოსისა, შაქელისა, ბაქოელისა, თარაქამისა (კრუა) და ქისტისა. ამ სურათებში საყურადღებოა ძველი ტანთსაცმელობა. იქვე აღმოჩნდა ლიტოგრაფიული სურათი, რომელსაც ფრანგულად ქვეშ აწერია „მინგრელიის თავადი პოლკოვნიკი“. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს სურათი არის თ. ნიკოლოოზ დადიანისა, რომელიც ელჩად იყო ლევან დადიანისაგან გაგზავნილი რუსეთს და იქ მიიღო პოლკოვნიკობა. ამ ნიკოლოოზ დადიანმა აღწერა: 1) თავისი მოგზაურობა რუსეთში: 2) იმერეთისა და სამურზაყანოს ლევან დადიანისაგან (რუსების შემწეობით) დაპყრობის ამბავი და 3) რამდენიმე საეკკლესიო ქადაგება. ამ სურათის ქართული ტან-ჩაცმულობაც შესანიშნავია.

⁂ რუსული გაზეთი «Вѣстникъ Обществ. Ветеринаріи» იტყობინება, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს საჭიროდ უცვნია, რათა კავკასიის ქვეყნებში საქონლის მკურნალთა ანუ ბეითალთა რიცხვი გაამრავლონო. აქამდის იყო 9 კაცი, ახლა ამ რიცხვს უნდა მიემატოს 18 კაცი. ყოველ ახლად დანიშნულ ბეითალს ჯამაგირი უნდა აძლიოს ერობამ, თითოს 980 მან. წელიწადში. გაზეთი ამბობს, რომ დღეის შემდეგ ბეითალთა რიცხვი იქნება: ტფილისის გუბერნიაში დღევანდელს ორ ბეითალს კიდევ მიემატება 3 კაციო, ქუთაისის [illegible] მატება 4, ერევნისაში 2 კიდევ 2, ბაქოსაში 2-ს 1 კაცი, განჯისაში 2-ს 2 კაცი, ყარსის ოლქში 0—2, დაღისტნისაში 0—3 კაცი და ზაქათალისაში 0—1.

⁂ რუსულ გაზეთის „Русскій Лѣсопромышленникъ“-ის მარტის №-ში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი თ. დ. თუმანიშვილისა. ბ-ნი თუმანიშვილი თვით წერილში რუსეთის საშენებელ მასალის მრეწველთ გააცნობს ლიხს იქითა მხრის (იმერეთისა, სამეგრელოსი, ბათუმისა და სუხუმის ოლქის) ტყეებს. იგი ამბობს, რომ ამ დალოცვილ ქვეყანაში მრავალია უტეხი და ჯერ ისევ ხელ-უხლებელი ტყეები, სადაც ხარობს ძვირფასი ხეები: ნაძვი, ჭანდარი, ფიჭვი, კაკალი, ძელქვა და მრ. სხ. ერთი დესიატინა სივრცის ტყიდგან გამოდის გამოსადეგი საშენებელი მასალა 200 კუბიკურ საჟენამდე. მიუხედავად ამისა, დღემდის ამ ქვეყანაში საშენებელ მასალის მრეწველობა არ არის გავრცელებულიო. ჩვენში ქვაგუნდისა, სპილენძისა, ნავთისა, ნახშირისა და სხ. წარმოებას ახმარებენ ათი-ათას თუმანს, ხოლო ტყეს-კი ჯერ არავინ ჰკიდებს ხელს, თუმცა-ღა საშენებელ მასალის მწარმოებელნი უფრო მეტს მოგებას ჰნახავდნენო, მაგ., 30—50%-მდე წელიწადშიო.

ჩვენდა სასიხარულოდ ამ ბოლოს დროს გამოჩნდა ერთი ფულიანი კაცი, ბ-ნი ოქრომჭედლიშვილიო. იგი მის უგანათლებულესობის სამეგრელოს თავადს შეეკრა პირობით და იჯარით აიღო იმისი ტყეები. ეს ტყეები მდ. ცხენის წყლის ნაპირებზეა დაფენილი, სვანეთისა და ლეჩხუმის მიდამოში; ცხენის წყალი 80 ვერსის მანძილზე ტივის საზიდ-საცურებლად გამოუსადეგარია, რადგან ფსკერი დიდრონის კონცხებითა აქვს მოფენილი. ოქრომჭედლიშვილმა 10,000 მან. გადასდო და ეს კონცხები ნაღმით დაამსხვრევინა და მდინარე გაასუფთავებინა. ცხენის-წყალი დღეს დაუბრკოლებლივ ეზიდება ტივებს, სიგრძით 9—12 არშინისა და სისქით 12—16 გოჯის ხეებს. ტყე იჯარით აღებული აქვს 12 წლის ვადით. სივრცე ტყისა არის 80,000 დესიატინა, რომელიც წინად იძლეოდა წელიწადში მხოლოდ 200—[illegible] შემოსავალი ექნება ყოველ წლივ 100,000 მანათამდე. მოიჯარადრე დიდს სარგებლობას აიღებს ამ დიდის საქმიდამ. სხვა რომ არა იყოს-რა, იქონიეთ სახეში შემდეგი გარემოება. დღეს როტშილდის ფირმა ბათუმში ყოველ წლივ ნავთის ჩასასხმელ ყუთებს გალიციიდგან იბარებს 16.000,000 მანათისას. თითო ყუთი უჯდება 24 კაპ. ოქრომჭედლიშვილი სამტრედიაში ჰმართავს ამ გვარ ყუთების საკეთებელ ქარხანას, რომელსაც შეუძლიან ყოველ წლივ 4.000,000 ყუთი გააკეთოს და როტშილდს მიჰყიდოს. თითო ყუთში მხოლოდ 4 კაპ. სარგებლობა რომ ჰნახოს, მაინც მარტო ყუთების კეთებიდამ აიღებს 160,000 მან. ყოველ წლივ.

⁂ გაზ. „Русскій Лѣсопромышленникъ“-ის მე-109 №-ში მოყვანილია ზოგიერთი ცნობა შესახებ საშენის მასალის ფასებისა ფოთში. საშენ მასალად ისყიდება იფნისა, მურყნისა, წიფლისა და თელის ფიცრები, ტივები და კუნძები. სიგრძით ორის საჟენისა და სხვა და-სხვა სისქის მასალა ისყიდება შემდეგ ფასად:

| | იფანი | მურყანი | წიფელი | თელა |
|---|---|---|---|---|
| $\frac{1}{2}\times 6$ ფუტ. | 38 კ. | 23 კ. | 38 კ. | 30 კ. |
| $\frac{3}{4}\times 6$ „ | 50, | 28, | 50, | 40 |
| $1\times 6$ „ | 60, | 33, | 60, | 50 |
| $1\frac{1}{2}\times 6$ „ | 80, | 45, | 80, | 70 |
| $2\times 6$ „ | 1 მ. 10 კ., | 60, | 1 მ. 10 კ. | 1 მ. |
| $2\frac{1}{2}\times 6$ „ | 1 მ. 33 კ., | 73 კ. | 1—33, | 1—20 |
| $3\times 6$ „ | 1—50, | 85, | 1—50, | 1—38 |
| $4\times 6$ „ | 1—88, | 1—10, | 1—88, | 1—80 |

გემით გადატანა მასალისა ფოთიდამ ოდესამდის ჯდება თითო გოჯი 12 კაპეიკად.

⁂ როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წლიურ მოგების 45% მიწათმფლობელთა საზოგადო საჭიროებისათვის არის გადადებული. ამ საზოგადო საჭიროებისათვის დანიშნულ ფულის შესახებ გუშინ-წინ მთავარ-მართებლის საბჭოს ლაპარაკი ჰქონია, ვის უნდა ჰქონდეს იმის მოხმარების უფლება, მარტო ბანკის დამფუძნებელ წევრთ, თუ მსესხებლებსაცაო. საბჭოს დაუდგენია, რომ ამ ფულის განაწილების უფლება მარტო წევრთ დამფუძნებელთ უნდა ჰქონდეთ, რადგან მსესხებლები შეიძლება სულ სხვა გუბერნიის მცხოვრებნიც იყვნენ და არა ტფილისისანიო.

⁂ ამ აპრილის თხუთმეტს ქ. ყაზანში გამართული იქნება სამეცნიერო და სამრეწველო გამოფენა. გაზ. „კავკაზ“-ის სიტყვით, 4,000 გამომფენელს უკვე განუცხადებია, ჩვენის ნაწარმოების გამოფენა გვსურსო, და ვინ იცის, რამდენი მოემატება კიდევ ამას იქით.

⁂ თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში მოსწავლე ქალებისათვის დაუწყებინებიათ აბრეშუმის მოყვანის სწავლება. ამ საქმის ხელმძღვანელობა მიუნდვიათ მასწავლებლის ბ-ნ სტეფანოვისათვის. მოსწავლეები დიდის სიამოვნებითა და გულ-მოდგენით სწავლობენ თურმე ამ ფრიად სასარგებლო საქმეს („ახ. მიმ.“).

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ვუგზავნი „ივერიის“ რედაქციას 53 მანეთს და ვთხოვ გარდასცეს ეს ფული წინამძღვარიანთ-კარის სკოლას. საჭიროდ ვრაცხ მოვიხსენიო, რომ ფული შემოგროვილია დ. ახალ-სენაკს და დ. აბაშაში მასწავლებელ ქალის დოლაბაძის მეცადინეობით. სურვილისამებრ შემომწირველთა მომყავს მათი სია:

ახალ-სენაკელები: გ. ბებურიშვილი 3 მან., ნ. მხეიძე 1 მან., №-1 მან., გ. კახიანი 3 მან., ი. დოლონაძისა 3 მან., ვ. ვოლსკი 3 მან., მ. ეიზბერგ 1 მან., ა. ერისთავი 3 მან., მ. ვერულაშვილი 3 მან., ადიგეზალოვი 3 მან., გ. ტატიშვილი 1 მან., ი. ახვლედიანი 25 კ., ნ. დგებუაძე 1 მან., ა. ქავთარაძე 1 მან., თ. ბოლოლიუბოვი 1 მან., გ. სოკალსკი 1 მან., პ. შაგუგია 1 მან., ბ. ეღჯიბია 1 მან., ს. ენუქიძე 3 მან., ბ. ადოხაია 1 მან., ბ. ხოშოლავა 1 მან., ზ. შეიშვილი 1 მან., დ. ალადაშვილი 2 მან.

აბაშელები: ვ. კოჩინოვი 3 მან., ს. გაბილაია 1 მან., მარამბაევი 1 მან., კ. ნადარეიშვილი 1 მან., ბ. დოლიძე 1 მან., მღ. ცომაია 40 კ., ყორყი 70 კ., დათუაშვილი 20 კ., კ. გუგუნავა 30 კ., კ. გუგუშვილი 30 კ., ა. ჭასტურია 20 კ., პ. გვაზავა 20 კ., ა. გვახცელაძე 15 კ., დ. ბზიავა 20 კ., ი. მიმინოშვილი 30 კ., გ. ნადარეიშვილი 20 კ., გ. გავთარაძე 25 კ., გ. ხადარეიშვილი 60 კ., ბ. შალამბერიძე 20 კ., ო. კორდზახია 10 კ., მ. ნადარეიშვილი 20 კ., ბ. ლეხავა 40 კ., ნ. კვანდჯალია 30 კ., პ. ქოიავა 20 კ., ფ. ქოიავა 10 კ., ი. ბუსკივაძე 10 კ., ზ. ნადარეიშვილი 15 კ., ი. მატკავა 10 კ., მ. ჩოჩუა 15 კ., ი. მაჩიტაძე 10 კ., ბ. ხოშტარია 15 კ., დ. რეხვიაძე 20 კ., ზ. გვაზაბია 5 კ., ი. კაჭარავა 5 კ., ქანანოვი 5 კაპ., დუხდიყა 5 კაპ., ა. ცომაია 5 კ., თ. თოფურიძე 10 კ.

დ. ალადაშვილი

### II

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის შემწეობით გამოაცხადოთ, რომ კნეინა ანნა გრიგოლის ასულმა ერისთავისამ გარდმომცა ოთხი ძველი ფული: 1) ერთი შუათანა სპილენძისა რუსულად დედოფლისა; 2) ერთი ვერცხლისა შუათანა უცნაურის წარწერებით; 3) ერთი მოდიდო ვერცხლისა პოლშის მეფის სიგიზმუნდისა და 4) ერთიც შუათანა სპილენძისა სპარსული. გთხოვთ ეს ძველი ფულები სურვილისამებრ შემწირველისა გარდასცეთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

თ. ჟორდანია

## უცხოეთი

იტალია. ნეაპოლში წინანდელ ფინანსთა მინისტრ მალიანის, რომლის დროსაც ძალიან გასწორდა იტალიის ფინანსები, წარმოუთქვამს დიდი სიტყვა. ჯერ ულაპარაკნია იტალიის სოციალურ მდგომარეობის შესახებ და მერე მეჰხებია დღევანდელს ეკონომიურს გაჭირებას. „იტალიამაო, უთქვამს ნამინისტრალს: თავისუფლების წყალობით და მხოლოდ თავისუფლების წყალობით მოახერხა და დაიჭირა ადგილი ევროპის სხვა ერთა შორის. იტალიის მოქმედება და საქმეები უნდა შეეთანხმოს მის სულს, რომელიც უნდა ხელს უწყობდეს საზოგადო წარმატებას. ყველანი მაშინ შევიქნებით კმაყოფილნი, როცა იტალია მოახერხებს და სამართლიანს გზაზე დააყენებს თავის სავაჭრო საქმეებს და სავაჭრო ერთმანეთობას ევროპის სხვა ქვეყნებთან, საფრანგეთიდგან დაწყებული. საფრანგეთთან ბევრი რამ გვაქვს საერთო და ბევრი საფინანსო, საკომერციო ინტერესი გვაკავშირებს იტალიელებსა და ფრანგებს. იმის მაგიერ, რომ სახელმწიფონი ჯარების მატებას გამოჰკიდებიან და ამით უნდათ დაიცვან მშვიდობიანობა, ბევრად სჯობიან წესიერი სავაჭრო ერთმანეთობა ჩამოაგდონ ერთა შორის. ჯარების მატებისათვის უზომო ფული და შეძლება იხარჯება და ეს არის უმთავრესი და ჭეშმარიტი მიზეზი სახელმწიფოთა და ერთა საეკონომიო დაცემისა და დაქვეითებისა“. შემდეგ მალიანს უთქვამს, როგორ შეიძლება გასწორდეს სახელმწიფოს ფინანსები, რა და რა ხარჯი შემცირდეს, რა ბაჟს მოემატოს და სხვა ამისთანები. მალიანს უთქვამს აგრეთვე, რომ ჩვენ გვაქვს კავშირი გერმანიასთანა და ეს კავშირი დიდს ზა-

---

მისი ტვინი გაყინულია, მისი გული მოშხამულია, იგი ბრმაა თავიდამ ბოლომდე. სიბრიყვეს არ ესმის, რომ ის, რაც გუშინ იყო კარგი, შეიძლება დღეს აღარ გამოდგეს, არ ესმის, რომ ცხოვრების გაახლებისათვის უმთავრესად საჭიროა ძირ-ფესვიანად ამოვარდეს ის, რაც დაძველებულა, დამპალა, რათა ახალმა ნერგმა და თესლმა იხაროს თავისუფლად. რა იქნება? სიბრიყვეა ახალის მტერი. მეცნიერებას კარგად ესმის, რა შვილიცაა ბრძანდება სიბრიყვე და იმიტომ ცდილობს კიდეც, რომ თითოეული წევრი საზოგადოებისა, თუ ყველა არა, უმრავლესობა მაინც, განათლდეს, რომ მოკვდეს, გაქარწყლდეს სიბრიყვე და მისი თანამხლებელი სიჯიუტე, რომელიც უშლის, წინ ეღობება ცხოვრების წინ-სვლასა, გაუმჯობესობას.

სიბრიყვეს მარტო გაუგებრობა, შეუგნებლობა როდი სჭირს ჭირად, იმას სხვა ამხანაგიცა ახლავს, რომელსაც ჩვეულება ჰქვიან. არა მგონია სხვა რომელიმე თვისება კაცის ბუნებისა იყოს ისე ამყოლი ჩვეულებისა, როგორც სიბრიყვეა. სწორედ ჯორსა ჰგავს სიბრიყვე: სადაც ერთი ღამე სადმე გაუთენებია ჯორის პატრონს, ჯორს ახსოვს და იმ გზით შორი-ახლოს რომ ჩაატარო, იქვე შეუხვევს... რა თქმა უნდა, ბრიყვები უფრო ბევრნი არიან ცხოვრებაში, მანამ ჭკვიანნი და ჯერ-ჯერობით ამიტომ ისინი იმარჯვებენ. მომავლისა-კი რა მოგახსენო, თუ დღეს ცოტად, თუ ბევრად ჭკუა, სიმართლე, სიბრიყვეს ლაგამს უდებს და აფიქრებს, მერმისს იმედია ზურგზედაც შეახტება... რა მერმისი უნდა ჰქონდეს განა იმ ძალას, რომელიც ჯიუტობს და მხოლოდ მუშტზე იცქირება? არაფერი. ჭკუა, სიმართლე მხოლოდ დაიმედებულია სიტყვაზე, თქმაზე. ეს უკანასკნელი სიტყვის ძალით იცავს ეკლიანს გზას და მისწრაფის დაიჭიროს ღირსეული ადგილი კაცთა შორის.

სიტყვამ ბევრი რამ გააკეთა, ჩემო ექვთიმე, ქვეყანაზე და კიდევ ბევრსაც გააკეთებს. სიტყვით ნამცნები სიმართლე იზრდება დღითი-დღე, ხოლო სიბრიყვე-კი თანდათან იშლება და იხრწნება. თქმა სიტყვისა ცალკე კაცთა კისრად აღებული ვალია, როგორც აღმოჩენა რისამე, ჩხრეკა-კვლევა, და წინ იმათის წყალობით მიდის, უკეთესდება ცხოვრება.

ამიტომ შენი შეხედულება ჩემთვის მოწერილი ნახევარზეა მართალი. მართალია, აზრსა, იდეას თავიანთ განსახორციელებლად ნიადაგი უნდა ჰქონდეს, როგორც შენ ამბობ, მაგრამ ამ ნიადაგს, ასე თუ ისე, იგივე აზრი და საუკეთესო საზოგადოების წევრთა მოღვაწეობა ამზადებს. აზრის გამტკიცებას საზოგადოებაში ეხმარება მწერლობა, ეხმარება ცალკე კაცთა მოღვაწეობა, თუმცა-კი ნიადაგი იდეის გასავრცელებლად უნდა არსებობდეს და შეეთანახმებოდეს იმ აზრს, რომელსაც ავრცელებ.

ავიღოთ მაგალითად ისეთი აზრი, რომელიც შეესაბამება საზოგადოების, ერის ყოფა-ცხოვრებას. წარმოვიდგინოთ ისეთი სახელმწიფო, რომლის შემადგენელნი წევრნი სწორედ ორ ჯურად არიან გაყოფილნი: ერთი ნაწილი, ვსთქვათ, ქცეულა კვერად, ხოლო მეორე გრდემლად, რომელსაც მუდამ თავში ჰხვდება ეს მძიმე კვერი, ჰქეჯს, სტკეპნის, სთელავს. ამ გრდემლის ყოფაში ჩავარდნილი ნახევარი ერისა ჰგრძნობს, რასაკვირველია, ტკივილს, სწუხს, მაგრამ თუ იგი უაზროა, ბრიყვია, აზრი არ მუშაობს მის შორის, როდი ეცდება გაინძრეს, აიცდინოს თავიდამ კვერის რახა-რუხი. ამისთანა საზოგადოებაში ადვილად მოიკიდებს ფეხს, რასაკვირველია, აზრი ხსნისა, ჯავრის ამოყრისა, მაგრამ თუ სახელმწიფოში ამისთანა უკიდურესობა არაა, მაშინ აზრს ხსნისას იქ ადგილი არა აქვს მოქმედებისა, იგი იქნება ოცნება და არა აზრი. მადლი განგებას, მადლი ბუნების კანონს, რომ უკიდურეს ყოფაში ჩავარდნილს ხალხს არ აკლდება მეშველი კაცი და მუდამ ჩნდება სიმართლის დამცველი, ჭეშმარიტების მომხრე ადამიანი. ამისთანა კაცების ნათელი სახე მრავლად გამოიყურება მზის სხივით ისტორიის ფურცლებზე. ბევრი მათგანი ჯვარს ეცვა, ბევრი ცეცხლში დაიწვა, ბევრს ცულმა მოჰკვეთა თავი, მაგრამ სიმართლე, ჭეშმარიტება ჭეშმარიტებადვე დარჩა და დღესაც ყველა პატიოსანს კაცს უდგება თვალ-წინ, ვისაც ევედრება შველასა და დახმარებას, ითხოვს, რომ მისი სიტყვა გაიგონოს ქვეყანამ. ყველას, რაც გაუკეთებია აზროვნობის ასპარეზზე, სიტყვით გაუკეთებია, უმთავრესი საშუალება სიტყვა ყოფილა.

ჩნდება, ვსთქვათ, სარწმუნოების რეფორმატორი უეჭველად ისეთს დროს, როცა არსებული სარწმუნოება ველარ აკმაყოფილებს უმრავლესობას; ჩნდება აგრეთვე რეფორმატორი პოლიტიკის ასპარეზზე უეჭველად ისეთს დროს, როცა აწინდელი წესი დაძველებულა, გაფუჭებულა და თხოულობს განახლებას, ანუ შეცვლას და ველარ აკმაყოფილებს უმრავლესობას. დიაღ, ჩნდებიან კაცნი და იძახიან, აგონებენ ქვეყანას, ესა-და ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალს გვაძლევს მით, რომ საპოლიტიკო მიზეზის გამო მოშორებულნი ვართ საფრანგეთსაო და ეკონომიურად არ ვუახლოვდებით ამ ქვეყანასაო. ბოლოს ასე დაუსრულებია თავისი სიტყვა: წინა თაობის სათქმელი იყო: „აღვადგინოთ იტალია პოლიტიკურადაო!“ ეხლანდელის თაობის სათქმელი უნდა იყოს: „აღვადგინოთ იტალია ეკონომიურად!“

ინგლისი. პარნელმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა პარლამენტში ბალფურის მიერ წარმოდგენილის კანონ-პროექტის შესახებ ირლანდიელ ფერმერებისაგან ლორდების მამულების გამოსყიდვის თაობაზე. პარნელმა ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკა და ციფრებით დაამტკიცა, რომ ეგ კანონ-პროექტი ულონოა ირლანდიის ტკივილს წამალი დასდოსო. მაგის შესასრულებლად, ისე როგორც ბალფურს უნდა, საჭიროა $166\frac{1}{2}$ მილიონი გირვანქა სტერლინგიო. მთავრობას-კი ამ საქმისათვის აქვს 40 მილიონი. მაშასადამე $\frac{3}{4}$ ფერმერებისა გამოუსყიდველი დარჩებაო. მაგრამ მაინც ჩვენთვის სასიამოვნო უნდა იყოს, რომ ბალფურმა აგრეთი კანონ-პროექტი შემოიტანა და მით აღიარა თითონაც, რომ ლალას დიდს იღებენ ლორდები ირლანდიაში და საჭიროა მხვნელ-მთესველმა საკუთრებად იქონიოს თითო ნაჭერი მიწა. ამიტომ ბალფურს, რაც უნდა უვარგისი იყოს მისი პროექტი, სიხარულით უნდა მივეგებოთ, როგორც ჩვენს ახალს მომხრეს და შეგირდსაო. პარნელმა დაწვრილებით გაარჩია პროექტი, აღნიშნა მისი ნაკლულევანებანი და ურჩია პარლამენტს, გადასდეთ მისი განხილვა ექვსის თვითაო.

## წვრილი ამბები

საგაისოდ ექვსასი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც შვეიცარია განთავისუფლდა, და ეს სამარადისოდ სახსოვარი დღე დიდის ამბით უნდათ იდღესასწაულონ. ზოგიერთებს განუზრახავთ შილლერის „ვილჰელმ ტელლი“ წარმოადგინონ მინდორზე, სწორედ იქ, სადაც ამ გმირმა იხსნა თავისი თავი და სამშობლო.

— შერბურგში გაუსინჯავთ ერთი წყლის ქვეშ მოსიარულე ნავი, რომელსაც გაუკვირვებია დამსწრენი. ეს ნავი თითქმის ერთის საჟენის სიღრმეში დაუყურყუმალავებდა და თავისუფლად დაძვრებოდა წყალში, ხომალდებს ასაფეთქი ნივთიერება ადვილად მისცა და რამდენჯერმე გზაც შეუკრა თურმე.

— ეიფელსა და ედისონს უნდათ დაიყოლიონ ჩრდილო-ამერიკის შტატები და მომავალის გამოფენის დასამშვენებლად აშენებინონ იმისთანა ეიფილისებურივე კოშკი, როგორიც პარიჟშია, მაგრამ სიმაღლით კიდევ უფრო მეტი, ე. ი. სამოც-და-თერთმეტ საჟენზედ მაღალი.

— 2,800 ქალს მოუთხოვნიათ ბერძნეთში მთავრობისათვის, რომ ქალების სასწავლებლებიც დაამართეთო. თუ ჩვენი ხალხი წინ ვერ მიდის, ამისი მიზეზი ქალების გაუნათლებლობააო.

— სარრა ბერნარი აპირობს თურმე სპარსეთსა, ინდოეთსა და ავსტრალიაშიაც წასვლას და ამ ქვეყნებშიაც უნდა მოიხვეჭოს სახელი. ამის შემდეგ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკასაც ჰნახავს. სულ ორ წელიწადს იმოგზაურებსო.

— ბრაზილიის დემოკრატებს უნდათ წარადგინონ იმის კანონ პროექტი, რომ ყოველი მკვიდრი ბრაზილიისა ვალდებულია ოც-და-ათ წლამდის ცოლი შეირთოსო. ამ კანონის წყალობით ჩვენი სახოგადოება ზნეობის გაფაქიზდება და სხეულითაც ჯან-საღი იქნებაო. უამისოდ ზნეობა დაცემული საზოგადოება უფრო უარესობაში ჩავარდება, რადგანაც უმთავრესი მიზეზი ზნეობის დაცემისა უცოლობა არისო.

— ნიუ-ჯერსეში კენტუკის პოლიციელებმაც შეჰკრეს თურმე პირი და აჰკვეთეს თავისი სამსახური. მთავრობას მაშინვე დაუთხოვნია ურჩი ხელ-ქვეითები და იმათ მაგიერ ახლები დაუნიშნავს.

— ჩრდილო-ამერიკის შტატები მალე ერთს ისეთს შტატს შეიერთებენ თურმე, სადაც საკანონ-მდებლო საქმეებში ქალებსაც ეძლევათ უფლება კენჭის ხმარებისა. ეს შტატი უაიომინგის შტატია.

— საფრანგეთის ერთი გაზეთი იუწყება, რომ საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრს შეუკრებია სტატისტიკური ცნობები ფაბრიკებში და ქარხნებში მომუშავე ქალების რაოდენობის შესახებ მთელს ევროპაში. ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ სულ ოც და ერთი მილიონი ქარხნისა და ფაბრიკის მუშა-ქალი ყოფილა და ამ რიცხვში 4 მილიონი საფრანგეთშია, $4\frac{1}{2}$ მილ. ინგლისში, 5 მილ. გერმანიაში და $3\frac{1}{2}$ მილიონი იტალიასა და ავსტრიაში. ამბობენ, რომ მუშა-ქალების რიცხვი კაცებისას ორის მილიონით აღემატებაო.

— ევროპაში ყოველ-დღე ოთხმოც-და-ექვსი მილიონი ქინძისთავი მზადდება. ამ რიცხვში ინგლისი ამზადებს ორმოც-და-თექვსმეტს მილიონს, საფრანგეთი — ოცს მილიონს და გერმანია — ათს.

— სან ფრანცისკოში გარდაცვლილა ერთი ას ორმოც-და-ათის წლის ინდიელი.

— ედისონი სწერს ბერლინის ცნობილს დოქტორს ვერნერ სიმენსს, რომ ჩემი ფონოგრაფი უწინდელთან შედარებით ახლა ბევრად უფრო გავაუკეთესეო, და იმედი მაქვს ამ მოკლე ხანში კიდევ უფრო უკეთესად მოვაწყოვო.

— იტალიის ერთს პროფესორს ფოსტის მარკებზე მრავლის-უმრავლესი პაწია „მიკრობი“ უნახავს. ამიტომ ეს პროფესორი ყოველ კაცს ურჩევს, ენით ნუ დაასველებთ ხოლმე მარკებს, რადგანაც ამით ის პატარა მიკრობები შეიძლება ენაზედ აგვევეთ და მერე კუჭსა და ნაწლებში მოქცეულთ სენი რამ გაგიჩინოთო.

— ორი წელიწადია მას შემდეგ, რაც მეცნიერი გეიმი ამტკიცებდა, რომ ყავა საუკეთესო წამალია გადამდებ სნეულებათა წინააღმდეგაო. ახლა ეს აზრი უფრო დიდად დაასაბუთა გამოჩენილმა მეცნიერმა ლიუდერიცმა. ამ მეცნიერმა გამოსცადა თურმე, რა გავლენაცა აქვს ყავის წვენს სხვა-და-სხვა სენის გამჩენს ბაქტერიებზედ და დაასკვნა: ყავის წვენი ახადგურებს იმ ბაქტერიას, რომელიც წითლად ჰღებავს და აღპობს იძეს, პურს, მოხარშულს კარტოფილს, მაწონს, მოხარშულს ბრინჯს და ბევრ სხვა საჭმელს; ჰკლავს აგრეთვე ხურვების გამჩენელს, ხორცის დამალპობელსა და წითლის ქარის ბაქტერიას. რამდენისამე საათის განმავლობაში ჰხოცავს აგრეთვე საქონლის საშინელს მტერს, ეგრედ წოდებულ ციმბირის ჭირის ბაქტერიას. ამ ჭირის თესლი ყავის თესლს წვენში ჩაუყრია, სამის დღის შემდეგ ამოუღია და შეუშხაპუნებია თაგვისთვის ძარღვში. მხამიანი თესლი ისე გაფუჭებულიყო, რომ თაგვს ვეღარაფერი ვეღარ დააკლო თურმე. ეს კიდევ არაფერი: ყავის წვენი, ასე გასინჯეთ, ხოლერის მხამს, ანუ, უკედ ვთქვათ, ხოლერის ბაქტერიასაც-კი ჰკლავს. ლიუდერიცის სიტყვით, ას წონა წყალში თუ ერთი წონა ყავის სისხე მოვიდა, იგი შვიდის ან რვა საათის განმავლობაში მოჰკლავს ამ მძვინვარე ბაქტერიას, ხოლო თუ ას წონა წყალში ოც-და-ათი ყავის სითხეა, მაშინ ხოლერის ბაქტერია ნახევარ საათსაც ვერ გასძლებსო. ამიტომ, როცა ხოლერა გაჩნდება, სპარსელები ყავის სმას მოუხშირებენ ხოლმეო. მაგრამ მოხარშულის ყავის წვენი-კი არ ვარგა ხოლერის ბაქტერიის წინააღმდეგ. ხოლერის წამლად თუ გინდათ, ყავა ადუღებულს წყალში უნდა ჩაჰყაროთ, ზევიდგან ხელსახოცი გადააფაროთ და რამდენსამე ხანს ასე გქონდეთ დაყენებული.

— ბაყაყისა, ყვავისა, ცხენისა და აქლემის ხორცის მჭამლები იყვნენ და არიან, ხოლო თუ ძაღლის ხორცის მჭამლებიც აღმოჩნდებოდნენ და ისიც განათლებულს ევროპაში, ეს-კი წარმოსადგენი არ იყო. კრაკოვის გაზეთი Czas-ი იუწყება: ამ დღეებში ქალაქ ლვოვს ახლო ერთ გამოქვაბულში პოლიციამ მიაგნო ავაზაკების ერთს გუნდს. ავაზაკთა გუნდი 6 კაცისაგან შესდგებოდა. ესინი ისხდნენ და ხორცს იხარშავდნენ საჭმელად. პოლიციამ იკითხა, ეს ხორცი, ალბად, ნაპარავიაო. ავაზაკებმა უპასუხეს, რომ ხორცი მართლა ნაპარავი პირუტყვისაა, ხოლო არა ძროხისა, არამედ ძაღლთა. ჩვენი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ქალაქის მსუქან ძაღლებს ვუთვალთვალებდით, ვიპყრობდით, მოვათრევდით აქ, ჩვენს ბუნაგში და ვკლავდითო. თავის სიტყვების დასამტკიცებლად პოლიციას წარუდგინეს ძაღლის მრავალი ტყავი და ხორცი.

## გასართობი

ხომ წაიკითხეთ საბრალო ნიკოლაი გიორგის ძის სარქისოვის წერილი. აბა უცნაური დაწყება თუ გინდათ, სწორედ ეს არის! საქმე იმაში გახლავთ, რომ ქარვასლაში ვიღაც ვაჭრის ნოქარი ნიკო სარქისოვია, რომელსაც ორმოც-და ხუთი თუმანი მოუპარავს და სადღაც მიჩქმალულა. ეს ქურდი ნიკო სარქისოვი გახლავთ, უკვე შეპყრობილი. მაგრამ იმავ ქარვასლაში ნოქრადვე იმყოფება მეორე ნიკოვე სარქისოვივე, არა-ქურდი. აი ის წერილი ამ სახელისა და გვარის მსგავსებამ გამოიწვია, მით უმეტეს, რომ, არამც თუ სახელი და გვარი, მამის სახელიც ერთ ნაირი ჰქონიათ. ქურდი ნიკოლაი გიურქას ძე სარქისოვია, არა-ქურდი — ნიკოლაი გიორგის (იგივე გიურქას) ძე სარქისოვი; ქურდი უცოლოა, არა-ქურდი — ცოლ-შვილიანი; ქურდი აღბულაღში დაბადებულა, არა-ქურდი — სიღნაღში; ქურდი წყალობ ზურაბოვთან იყო, არა-ქურდი-კი წყალობ (აქაც ორი წყალობა, ეს სწორედ, წყალობა-კი არა ღვთის რისხვაა!) წატუროვთან და, ამას გარდა, ტფილისის მოქალაქეთა შორის არის მეორე გილდის ვაჭრებისაგან ჩარიცხული. აქ სულ წყეული ბედია, თორემ საბრალო ნიკოლაიმ რა ქნას, წყალობ წატუროვთან მოვაჭრემ, თუ ამ რამდენისამე ათის წლის წინად ორმა სულ სხვა-და-სხვამ გიურქ სარქისოვმა ცოლები შეირთეს, ორივეს ვაჟიშვილი მიეცათ და ორივემ „ნიკოლაი“ უწოდეს. მერე, დახეთ ბედის უკუღმა ტრიალს, ორივენი ნოქრებად მიდიან და ისიც ერთსა და იმავე ალაგას — ტფილისს, თამამშოვის ქარვასლაში. როგორც ჰხედავთ, უკანასკნელს დრომდე ბედმა სულ ერთის გზით ატარა ეს ორი ნიკოლაი, ორი გიურქას ძე, ორი სარქისოვი, მხოლოდ ბოლოს დროს ერთი მეორეს ჩამოშორდა, ერთმა მოიპარა, მეორეს ჯერ არ მოუპარავს, თუმცა, თუ სამართალი და კანონია საქმე და თუ ბედმა ამ გზით ატარა, მეორემაც უნდა მოიპაროს. აქაც ისეთივე მსგავსებაა, როგორც პეტრე პეტრეს ძე დობჩინსკისა და პეტრე პეტრეს ძე ბობჩინსკის შორის. იქაც ეს ორი გმირი ერთმანეთს მალიან ჰგავს და მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ერთმა ცხვირი გაიტეხა, მეორემ კი არა, ერთს ჩატეხილი კბილი უშლიდა ლაპარაკს და მეორეს-კი არა. ბედია, ბედი!

* *

განა პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრის ვლადიმერ კონსტანტინეს ძის მინაევის ამბავი-კი ბედი არ არის. თუ ჩვენს მკითხველებს ახსოვთ, ამ რამდენისამე დღის წინად გოლოვინის პროსპექტზედ საიდგანღაც გაჩნდა ცოფიანი ძაღლი და ეს პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრი დაჰკბინა. ამაზედ მეტი უბედურება და უსამართლობა და გაგონილა! რადა პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრს წაეტანა კანჭებში ის ცოფიანი ძაღლი? თუ მართალს ამბობენ, რომ ძაღლი დიდად გონიერი პირუტყვიაო, სწორედ მადრიელი არა ყოფილა ამ პირუტყვთა საზოგადოებისა ის ძაღლი და იმიტომ თუ დასაჯეს ეს წარჩინებული წევრი ამ არა-წარჩინებულის საზოგადოებისა. ჩვენის აზრით, თუ ბ-ნი მინაევიც დაგვეთანხმება, აქ სწორედ «პროტესტია», «დემო-

---

ცვლილებაა საჭიროო, აგონებენ უმრავლესობას, რომელნიც ჰგრძნობენ კი რაღაცას აქამდის, მაგრამ ბურანში არიან და ვერ გამორკვეულან... სიმართლეს აგონებენ ქვეყანას მოწინავე კაცნი, სჭმავენ უმრავლესობის წადილის საერთო ძარღვს და იმაზე დამღერიან. სიჭკვიანეც ეს არის, ჩემო კარგო, თორემ ისეთი რამ რომ მოინდომო, რაც არავის უნდა და არცა ვისა სდომნია ოდესმე, ვერ იშოვნი და ვერც იპოვნი... დღეს აქამომდე, წარსულს დროში, ყველა მოწინავე კაცს ამ რიგად უმოქმედნია, ეს თითქმის კანონია, ვისაც გამარჯვება უნდა, ვისაც ცხოვრებას კაცობრიობისას, ქვეყნისას უნდა რამ არგოს.

დავანებოთ თავი თუნდ წარსულს დროს და მის მოღვაწეთა და ჩვენს თავზე, ჩვენს მდგომარეობაზე ვიფიქროთ, ვიფიქროთ ჩვენს ერზე, ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე, როგორც ერს, გონიერ არსებათა კრებულს ჩვენც ხომ უნდა გვქონდეს რაიმე სურვილი? რასაკვირველია, ყველა ჩვენგანს სურვილი ბევრი აქვს. ვის არ უნდა, ჩემო ბატონო, „კაი ცხენი, კაი ცოლი და კაი მილიონები“, მაგრამ მე ამ ჯურის სურვილზე არ ვამბობ. არამედ ჩვენს საზოგადო სურვილზე, წადილზე მოგახსენებთ, ისეთს სურვილზე, რომელსაც, თუ შეიძლება, დავარქვათ მოქალაქობრივი სურვილი. იმისთანა ერი დედამიწაზედ წარმოუდგენელია, რომ ყველა მის წევრს ერთ ნაირად აწუხებდეს ქვეყანა, ქვეყნის ჭირი და ლხინი, ე. ი. ჰქონდეს ყველას ეს სურვილი, მაგრამ ყველა ერს თუ სახელმწიფოს, რომელიც-კი ცოტად თუ ბევრად დაახლოვებულია ბედნიერებას, ჰყავს მრავლად კაცი, რომელნიც ერთის სურვილით არიან დაკავშირებულნი და ძალ-ღონეც კიდეც ამიტომა აქვთ სწორედ.

ახლა ის ვკითხოთ, ჩვენში რას ვხედავთ. აიღე, გადასინჯე სტატისტიკური ცნობები ჩვენის განათლებისა, მოიგონე ჯერ ის, რამდენი % იჩენს ამ მოქალაქობრივს გრძნობას ამათში; ახლა შეადარე, საზოგადოდ, განათლებულთა რიცხვი უსწავლელთ, უბირთა, და დაინახავ, რაც საზოგადო სურვილი უნდა არსებობდეს ჩვენში. ნუ ვიტყვით მდაბიო ნაწილს ჩვენის ერისას, აიღე თითონ ნასწავლი, განათლებული ხალხი, იმათშიაც, რომ არა სჩანს ეს სურვილი საქვეყნო, საზოგადოებრივი... ახლა შენ მოწინავე კაცი ხარ და აზრიცა გაქვს, გინდა რომ ამ აზრს, ამ შენს სურვილს მოუპოვო მომხრე. რა უნდა ჰქმნა? რა ნიადაგზე დგეხარ? გაქვს ამ გვარს საზოგადოებაში ნიადაგი მოქმედებისა, თუ არა? რასაკვირველია, ნიადაგი გაქვს, ჯერ თვით ეს გულგრილობა, გარე შემორტყმული სიბრიყვე კმარა ნიადაგად, რომ გული აგიღელდეს, ხმა აიმაღლო, სთქვა რამ საგულისხმო, სასარგებლო. ამბობ კიდეც, მაგრამ ახლა აქ სხვა უბედურება გელობება წინ, ეს შენი სიტყვა ვერ გადის იქ, საცა უნდა მივიდეს, არა სწვდება უმრავლესობის ყურებს. მაგრამ თუნდა რომ მისწვდეს იმის ყურებს, ვისთვისაც ამბობ, ერთს ყურში შეუშვებს და მეორეში გააცილებს. ჩვენს კაცს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელს ქათამს და ვერა ჰგრძნობს იმას, რომ დღევანდელს კვერცხსაც დაჰკარგავს და ხვალინდელს ქათამსა ხომ დაჰკარგავს და დაჰკარგავს, თუ არ გამოიჩინა ყურები, არ გაახილა თვალები.

მაინც და მაინც სიტყვისა და თქმის იმედი უნდა გვქონდეს; თუ რამ გაკეთებულა ქვეყანაზე, თქმით გაკეთებულა, აზროვნობით ჯერ და მერე საქმეც მოჰყოლია თან სიტყვასა და აზრსა.. დღეს თუ ჩვენი კაცი კედლად გამხდარა და მისკენ მიმართული სიტყვა ცერცვის ყოფაშია ჩავარდნილი, ხვალა და ხვალ ზეგით აღარ იქნება ესე... ერთხელ დაბადებული აზრი არა კვდება, არამედ იზრდება, მწიფდება. თუ დღეს ის აღარა ვართ, რაც გუშინ ვიყავით, იმედია, ხვალ ის აღარ ვიქნებით, რაც დღესა ვართ, რაც უნდა ჯადოქარობა იხმაროს მტერმა და მოქიშპემ. ნათქვამია: „სანთელ-საკმელი გზას არ დაჰკარგავსო.“ სიმართლეც არა ჰკარგავს არასოდეს გზას. შეიძლება უსამართლობამ დროებით, ცოტა ხნობით მიაყაროს ჩალა-ბური, ან ხელ-ფეხზე დაიდოს ბორკილი, მაგრამ ის მაინც ძალე თავს იჩენს ისევ. ამას ვხედავთ ჩვენ ერთა ისტორიულს ცხოვრებაში და ამიტომ ყველა მართალი, სიმართლის მიმდევარი არ უშვებს ხელიდგან საომარს იარაღს. როგორც ბევრი რამ სხვა გვასწავლა მეცნიერებამ ცხოვრების გაუმჯობესობისა, ისე ეს გვასწავლა, რომ სიმართლეს დიდი ძალა აქვს ცხოვრების გაუკეთესების საქმეშიო, გვასწავლა, რომ არ უნდა ვივიწყებდეთ მას და ხშირ-ხშირად მოვაგონებდეთ ქვეყანას. უნდა გვახსოვდეს, გულზე დაწერილი გვქონდეს ცხოვრება და მისი სარგებლობა, რადგან უმთავრესი ღერძი ესაა, რომლის გარშემოც ტრიალებს მთელის კაცობრიობის გული და გონება. დიაღ, გვახსოვდეს ცხოვრება და სიმართლე.

შენი ერთგული მამუკა

ნსტრაცია» მაღლების კრებულის მხრით და სწორედ საზოგადოების უმოქმედებას, საქმის რიგიანად არ-გამოლდას უყურადღებობას გამოუწვევია ეს მაღლთა „დემონსტრაცია“. თვით ის ცოფიანი მაღლი კი „მანიფესტანტთა“ რჩეული წევრი უნდა იყოს. თუ არ ეს, მაშ რა მიზეზია, რომ ის ცოფიანი მაღლი გოლოვინის პროსპექტზე, სადაც ათასობით ხალხი დადის, სწორედ ამ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრს წაეტანა, სწორედ ის ამოიღო ნიშანში და სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა საბრალო ბ-ნ მინაევს უნდა გამოევლო. ან იქნება აქაც შემთხვევაა, ან, უფრო მდაბიურად რომ ვსთქვათ, დაწყევლილი ბედი, რომელიც ვირებს ფილოსოფოსებად აქცევს ხოლმე და ფილოსოფოსებს — ვირებად?!.

## სასარგებლო ცნობანი

ამერიკის მეურნეთ შეუნიშნავთ, რომ მარილ-ხარყვი ხაცარი ფრიად მარგებელია კარტოფილისათვის. ვისაც ჰსურს (და ვის არა ჰსურს!) ბლომად მოუვიდეს კარტოფილი, უსათუოდ მარილ-ხარყვი ხაცრიანი სასუქი უნდა დააყაროს მიწას. ყველა ძირს თითო მუჭა სასუქი უნდა მოაყაროს.

ხავსიც გამოსადეგი ყოფილა! დღემდის ხავსის მრუწველობა და გამოყენება ვის გაეგონა. ამ ბოლოს დროს-კი აღმოჩნდა, რომ ხავსი, ეს ხის ბურუსი, ფრიად სასარგებლო ყოფილა. მისგან საზღვარ გარეთ აკეთებენ მაგარზედ უმაგრესს ქაღალდს (კარდონს) და ამ კარდონიდამ-კი ამზადებენ ყოველ გვარ ჭურჭელს, ავეჯს, რკინის გზის მატარებლის თვლებს, ბუსრებს და სხვას. საკვირველი ის არის, რომ ხავსისაგან გაკეთებულ ჭურჭელ-ავეჯს ხეზედაც მეტი სიმაგრე ჰქონია.

# დეპეშა

### 21 აპრილი

პეტერბურგი. საუფლის-წულო მამულების დეპარტამენტის გამგე რიხტერი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დათხოვნილ იქმნა თავის თანამდებობიდგან, თუმცა დატოვებულია იმავე სამინისტროს უწყებაში.

გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომ ტფილისში დაარსდეს სახელმწიფო საადგილ მამულო ბანკის განყოფილებაო.

უწმ. სინოდმა დაადგინა: ამიერიდგან სალმთო სჯულის მასწავლებლად აღარ დაინიშნნენ ისინი, რომელნიც სამრევლო და ან საქველ-მოქმედო საზოგადოებათა ეკკლესიებში არიან მღვდლად გამწესებულნი. უკვე დანიშნულნი-კი დატოვებულ იქმნენ იმ დრომდე, ვიდრე პენსიას დაიმსახურებდნენ. ნება დაერთოთ საეპარქიო ყოველად სამღვდელოთ, რომ იმათ დანიშნონ ხოლმე გიმნაზიების სალმრთო სჯულის მასწავლებელნი ტაძრებში, ან შინაობელს ეკკლესიებში, ხოლო იმათ საეკკლესიო კრებულის შემოსავალში-კი ნაწილი არ უნდა ჰქონდეთ.

საერო განათლების სამინისტრომ აუწყა მზრუნველებს: აუხსენით სამასწავლებლო საბჭოს, რომ დაბად და სოფლად სასწავლებლების გამართვა სასულიერო მთავრობის უწყებას ექვემდებარება და ვისაც უნდა ამისთანა სასწავლებლის დაარსება, ამ მთავრობას უნდა მიჰმართოსო.

„С.-Пет. Вѣд.“-ი იუწყება, რომ უწმ. სინოდმა ეკკლესიებში ქონების მართვის წესების პროექტი უკვე დაამტკიცა. საქმე მინდობილი უნდა ჰქონდეთ ეკკლესიასთან დაარსებულ სამრევლო საბჭოთ, ხოლო ამ საბჭოს განკარგულება ეკკლესიის მნათემ უნდა აღასრულოსო.

ბერლინი. ხემნიცში რკინის მკეთებელ მექარხნეებმა დაადგინეს, რომ ხემნიცის სამრეწველო ოლქის სამუდამო საზოგადოება დაეაარსოთო. ეს საზოგადოება უნდა სცდილობდეს მთელის გერმანიის შეერთებას, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს უმიზეზოდ აკვეთას მუშაობისას მუშათა მიერ.

სოფიიდგან კერძო ამბავი მოვიდა, რომ, რამდენადაც ვიცით, ბოლგარიის მთავრობამ გერმანიის საელჩოს, რომელსაც რუსეთის ინტერესების დაცვა აქვს მინდობილი, უკვე გადასცა ბოლგარიის საერო ბანკ. „Banque de Paris et des Pays-Bas“-ში გადაცემულ ფულის ბარათები რუსეთის საოკუპაციო ხარჯის გადასახდელად. ეს ბარათები უკვე პეტერბურგშია გაგზავნილი.

### 22 აპრილი

პეტერბურგი. უმთავრესის შტაბის ცირკულიარით გამოცხადებულია, რომ საჯერთნელად მეკრებისაგან განთავისუფლებულნი არიან ის ზურგის ჯარში ჩარიცხულნი სამხედრო ბეგარის გადახდას ვალდებულნი, რომელნიც სწავლობენ შემდეგს უმაღლესს სასწავლებლებში: უნივერსიტეტებში, პეტერბურგის საისტორიო - საფილოლოგიო ინსტიტუტს, მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებლებში, დემიდოვის იურიდიულ ლიცეიში, ლაზარევს სააღმოსავლეთო ენების ინსტიტუტში, მოსკოვის მემკვიდრე პრინცის ნიკოლოზის ლიცეიში, საბეითალო ინსტიტუტებში, ნოვო ალექსანდრიის სამეურნეო ინსტიტუტში, პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტში, რიგის პოლიტეხნიკურს ინსტიტუტში, პეტრე-რაზუმოვის სამეურნეო-აკადემიასა და სამთო ინსტიტუტში.

სახელმწიფო საბჭომ იმის პროექტი დაამტკიცა, რომ ორი მილიონი გადიდოს ბათუმის ნავთ-საყუდელის გასაუკეთესებლადაო.

„Новости“ იუწყება: საბეითალო კომიტეტის ერთს კრებაზედ მოსკოვის მოურავმა განაცხადა, რომ ყველა ქალაქში გაიმართოს საყასბო, ამ საყასბოს მეთვალყურედ ბეითალები დაინიშნოს და ერთ გვარი წესები გამოიცეს პირუტყვის გასინჯვისა და დაწუხებისათვისაო.

### 23 აპრილი

პეტერბურგი. გუშინ ჰქონდა პირველი კრება ახლად-შემდგარ საზოგადოებას, ლოთობის წინააღმდეგისას.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ გზათა მინისტრი ამ ზაფხულს თითონ დაათვალიერებს ზოგიერთ რკინი-გზას. იუწყება აგრეთვე, რომ უფროსი ინსპექტორები რევიზიას მოახდენენ ყველა გზებზე. რომელნიც შარშან ვერ გასინჯეს.

გუშინ ვილნოში გარდაიცვალა არტილერიის გენერალი შტადიერი გუშინ გაემგზავრა თავის ადგილზე ახალი „სტეპნოის“ გენერალ გუბერნატორი ბარონი ტაუბე.

პეტერბურგის ბირჟა, 20 აპრილი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | 7 14 | „ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 141½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 107½ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგებიანი ბილეთი | 228 | — „ | — |
| — მეორისა | — „ | — „ | 215½ |
| — მესამისა | | — „ | 217 |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ 86½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | 99 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | 99 37 |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჲ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე 4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

აპრილი 30 დღით არის

24 დღე სამშაბათი. ქართველ. წმ. მოწამისა საბა სტრატილატისა. კათოლ. წმ. გოიცეხახი და ფიდელისა. სომეხ. 24 დღე აღდგომისა. მზე ამოდის 4—50, ჩადის 7—3 ჭეშმარიტი შუა-დღე 11 56. მთვარე 17 დღისაა.

25 დღე ოთხშაბათი. ქართველ. წმ. მოციქულისა და მახარობლისა მარკოზისა. კათოლ. წმ. მოციქულისა და მახარობლისა მარკოზისა. სომეხ. 25 დღე აღდგომის შემდეგ. საქართველოს მეფე ვახტანგი, რუსეთში რომ გადავიდა საცხოვრებლად მხლებლებით, გამოცხადდა იმპერატრიცა ეკატერინა I-თან, რომელმაც დაასაჩუქრა წმ. ანდრიას ორდენით და ყოველ წლივაც 12,222 მ. დაუნიშნა (1725 წ.). აგრეთვე სხვა-და-სხვა დროსაც დაასაჩუქრა და რამდენიმე სოფელი უბოძა, 2996 სული გლეხი. მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—4. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. მთვარე 18 დღისაა.

26 დღე ხუთშაბათი. ქართველ. წმ. მღვდელ-მოწამისა ვასილი, ამორიელ ეპისკოპოსისა. კათოლ. წმ. მარცელინა და კლავდისა. სომეხ. 26 დღე აღდგომისა. ტფილისის საჯარო წიგნთ საკითხავის დაარსება 1850 წ. მზე ამოდ. 4—47, ჩ. 7—5. ჭეშმარიტი შუადღე, 11—56. მთ. 19 დ.

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

(10—10)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უგახასკხელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ანბანი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, განსაზღვრული ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Дозв. ценз. Тифлисъ, 23-го Апрѣля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.